

# საქართველო


## კულტურული

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ი ს

გაზეთის № 71

დამატების № 13

გვირა, 24 აგვისტო 1914 წ.



10/45

† რომის პავლი პიო ხ.

### მოჯალაკე

ისტორიული მოთხოვა.

(ის. სურათებიანი დამატება № 12.)


ამ საქმეს მეტად საიდუმლოდ ინახავდნენ სასახლეში, მაგრამ ის ჩინებულიდ გაიგეს ძმებმა ბატონიშვილებმა და სუაუნაში შეფშულობა მოახდინეს... ოქსლი სანაქებოდ დამზადებულ ნიადაგში ჩაეშვა და ბატონიშვილებმა გულდამშვიდებით დაუწყეს მოლოდინი ნაადერძვი საქმის ჩაფუშვას.

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილი და ბევრიც სხვა მიზეზთა გამო, დავითმა 11 წლის მთავრობაში, ვერ დაიმსახურა თავად-აზნაურთა უმრავლესობის სიყვარული და ნდობა. ამ სახით, პირველად მან ჩაუშვა თავის ქვეშევრდომთა გულში უქმაყოფილების ნაპერშეალი, რაც შემდეგ გალვივდა და „ოდიშის შეიარაღებული ამბოხების“ სახელით დაუქრიბდელ ცეცხლად მოედვა მთელს მხარეს... მაგრამ სანამ ამის აწერას შეუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩრია კიდევ რამდენიმე სტრიქონი დაუთმო ამბოხების გამომწვევ მიზეზებს.

უკანასკნელი მთავარი ოდიშისა—დავითი გარდაიცვალა 1853 წელს და მალე ამის შემდეგ, მისი ძის ნიკოლოზის დაწლოვანებამდის, რუსეთის მეფისგან, ოდიშის მართველად დაინიშნა ქვრივი დედოფალი—ეკატერინე და ამით სამთავრო ტახტმა ერთი ზედმეტი და ძლიერი მტერი შეიძინა. დადიანი გრიგოლი ლევანის ძე, მა მთავრისა, თავის ძმის—დავითის გარდაცვალების შემდეგ, თვითონ მოელოდა დანიშვნას მდიშის დავითის მართველად და რა—რომ იმედი გაუცრუდა, გულში შური და მტრობა დაებადა არა თუ პირად თავის რძლის—ეკატერინესადმი, არამედ თვით სამთავრო ტახტისაღმიც და ამის გამო მოხერხებულად ეძებდა მარჯვე შემთხვევას, რომ სამუდამოდ ჩაეფუშა მდიშის ავტონომიური მართვა-გამგეობა... გარდა იმისა, რომ გრიგოლი ძლიერი იყო ჩამომავლობით, მას სხვა კავშირიც

ჰქონდა იმ დროის გავლენიან ოჯახებთან: საზოგადოდ ბატონიშვილებს იმის გამზრდელ—ძაძიშვილებად მოჰქონდათ თავი, რაღანაც ის იყო გაზრდილი ტაია ბატონიშვილის იჯახისა და გაზღილობა კი ისე მაღალ საფეხურზე იდგა იმ დროს ოდიშში, რომ სულ ადვილი იყო გვეხდელს თავის საკუთარი შვილი შეეჭირა გაზრდილისთვის. ამასთან ფალავებიც გრიგოლის ერთგული მომხრენი იყვნენ და ეს გვარები თავის ნათესავებით, მოყვრებით და მეგობრებით ერთობ ძლიერ წრეს წარმოადგენდა ფრთისმეორეზე მტკიცედ გადაბმულ-გადმომტულს, რომელსაც მეთაურობდა გრიგოლი... ესეც არ ყოფილიყო, თვითონ ეკატერინემაც ვერ შესძლო ქვეშევრდომთა გულის მოვება; იმანაც ალმაცერად დაუწყო ყურება მაღალი წოდების წარმომადგენლებს და უფრო იმათ, რომელნიც რუსის სამსახურში იმყოფებოდნენ. როგორც დავითს, თავის სიცოცხლეში, ისე ეკატერინე-საკუ, თავის მართველობის დროს, სასაცილოდ არ ყოფნიდათ ის მხრებ აქრელებულ თავადები, რომელთაც ასე თუ ისე თავი ესახელებინათ რუსის სამსახურში. ასეთ პირებს სასახლეში არ იღებდნენ და თუ იღებდნენ, ჰელიცხავდნენ, დასცინონდნენ, და ამცირებდნენ. ასეთი მიმართულებით, დედოფალმა მტრად გალაკიდა, სხვათა შორის, თავადი ელიზბარი ბატ-ნიშვილიც, „დიდი ნიკოს“ შვილების შემდეგ პირველი კაცი მთელს ოდიშში, რომელსაც გარს ეხვია თავადები: მხეიძები, მიქაები, დგებუაძები და სხ.—ელაზბარს ორი შვილი ჰელიცხავდნენ, რუსის ჯარის აფიცირად და რამდენად ამით მას თავი მოსწონდა, იმდენად ფასი არ ჰქონდა დედოფლის თვალში. ეს არ მოსწონდა ელიზბარს და თავის მომხრე თავადებს ამზადებდა მარჯვე შემთხვევისთვის. გარდა ამისა ოდიშის თავადები და აზნაურები, უმეტესად დაბალი წოდება, ხედავდნენ რუსის მართველობას იმერეთ-გურიაში და რამდენადაც თვალი იქით რჩებოდათ, იძრენად ნდობა ეკარგებოდათ საპთავრო ტახტისადმი.

ამ სახით, როცა შინაური უკმაყოფილება დღითი-დღე გარდებოდა, რასაც ვერ ჰქონდა დედოფალი, ან იქნება კიდევ, ჰელიცხავდა, მაგრამ არ ეპუებოდა, 1855 წელს განიხრას ქმრისგან ნაან-



ინგლისის ნალმოსანს იერიში მიაქვთ გერმანელების კრეისერზე.

დერძევი საქმის დამთავრება — ხატის გადმოსვენება სუჯუნიდან მარტვილში. დაითანხმა თეოფანე ჭყონდიდელი და გაგზავნა სუჯუნაში თავის უმცროსი მაზლი, ბოქაულოთუხუცესი კონსტანტინე დიდალი მხლებლებით, რომ წამოესვენებინათ ხატი, მაგრამ „დიდი ნიკოს“ შვილებისაგან წინ და წინ მომზადებული საეკლესიო აზნაურები და გლეხები მარჯვედ წამოიშალნენ და არა თუ არ დაანებეს ხატი, ბევრიც სცემეს ბოქაულოთუხუცესის კაცებს და სწორედ უბედურობა დატრიალდებოდა, რომ კონსტანტინე დაჩქარებით არ გაბრუნებულიყო უკანვე. ერთის მხრით, ამ გარემოებამაც მტრად გადაჰკიდა დედოფალს მთელი საჭიროდიდო და უფრო იმან, რომ ხალხის მეთაურნი, საეკლესიო აზნაურები — ძმები: მეთო და ივა-ბერი ხოშტარიები, წინააღმდეგობისთვის, პირველი ჯაჭვით შებორკილი, მურის ციხეში დაატყვევა დედოფალმა და მეორე გადასახლა მცხეთის ძმანასტრიში, სადაც მალე გარდაიცვალა.


რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად იზრდებოდა უქმაყოფილებაც სასახლის წინააღმდეგ, იმდენად უფრო ყველა წოდების პირს თვალი რუსებისკენ ეჭირა... ამ დროს დედოფალს შეეძლო მინდობონა მხოლოდ თავის უმტროს მაზლს—კონსტანტინეს და ჩიქოვანებს, მაგრამ ამათი ძალა წვეთი იყო ზღვაში, დედოფლის წინააღმდეგ საიდუმლოდ ამხელრებულ ძალასთან. ასეთი შინაური აწეშილ-არეული მდგომარეობას და უფრო თათრის ომს შედევად მოჰყეა, ეგრედწოდებული „ბუნტი“, რომელმაც დაჩქარებით შეუმოკლა დღეოდიშის თვითმართველობასაც.

ნადგურებულ-გადამწვარი სასახლეები, მაგრამ რაკი ზუგდიდის სასახლეს არც ისე აღვილად ეშველებოდა რამე, თავდაპირველად სალ-ხინოს სასახლე უნდა გაეახლებინა, რომ რუსეთიდან დაბრუნებულ დედოფალს, მასში შესძლებოდა ცხოვრება. ამასთან, მასვე უნდა აე-კრიბა, ხალხში ვალად დარჩენილი, ხარჯი და საზოგადოდ, უნდა ეზ-რუნა სასახლის მდგომარეობის გაუმჯობესობა—კეთილდღეობისთვის. დავალებულ საქმეებში, წესდების ძალით, სახლთუზუცქს მხოლოდ დედოფლისთვის უნდა გაეწიო ანგარიში.

ამ სახით შემუშავებულმა წესდებამ გრიგოლს მწარედ უკინა  
გულზე, მაგრამ წყენა დამალა და განზრას მოიწონა კიდეც... ამის  
შემდეგ, მეტად იმედმოცემული დელოფალი მხიარულად გაემგზავრა  
რქისეთს.

სახლთუხუცესი მაგრად ჩაეგად დაკისრებულ საქმეში: ის ცეცხლივით მოედვა ყმებს... მისი ბრძანებით, ცალკე ცემა-ტყეპით, ახდევინებდნენ, შემოსეულ თუ შინაურ მტრებისგან გაყვლეფილ-გაძვალტყავებულ ხალხს რამდენიმე წლით ვალად დარჩენილ ხარჯს, ცალკე არ ასევენებდნენ სხვა და სხვაგვარი ახალი ხარჯის აკრებით: მიჰყავდათ ხარი, ძროხა, ცხვარი, თხა და თვით უკანასკნელი ქათამიც და ცალკე ასობით ერკექებოდნენ სალხინოს სასახლეში სამუშაოდ... ხალხი გმინავდა აუტანელ ულელს ქვეშ, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი? სახლთუხუცესი სულ იმას გაიძახოდა, რომ ხალხს ახლა ღვთის სალოცავათაც არ სცალიან, ხუთი ხელიც რომ ჰქონდეს, ხუთივეთ სასახლისთვის უნდა იმუშაოს და რაც-რამ სახლშიაც გააჩნია, ისიც აქ უნდა მოიტანოს... არ სჭამდა, არ სვამდა, არ იმოსებოდა ხალხი, ის თვალებში შესკეროდა სახლთუხუცესს და წვითა და დაგვით იხდიდა ხარჯს, თან მიღიოდა სასახლეში სამუშაოდ, მიღიოდა თავის საუკითარი ხარჯით; 1) მაგრამ რა-კი სასახლეში სამუშაო ერთობ დიდიხნის იყო და ერთბაზად დამზადებული საჭმლის წამოლება მოუხერხებელი იყო, მუშებს მიპქინდათ სიმინდი, რომ სასახლის წისქველებში ეფქვათ და თითონ ემზადებინათ საჭმელი. ეს კიდეც უხაროდა სახლთუხუცესს; ამით, შემოსავლის ერთი ზედმეტი წყარო უჩინდებოდა. მისი ბრძანებით მუშის სიმინდიდან იღებდნენ განსაზღვრულ ნაწილს, დაფქვის ბაქს - მინდს, რაც აკლდებოდა უამისოლდაც ხარკით სულამოხდილ ყმას და ემატებოდა ბატონს. ამ სახით, გამოიჩიქა სრულიად ახალი ხარჯი, ისიც სახლთუხუცესის ნებით, რაც სამთავრო დებულების არც ერთ მუხლში აღნიშნული არ იყო. ეს იწყინეს მუშებმა და შესჩივლეს სახლთუხუცესს, მაგრამ მან საჩივრის მოსმენაც არ ინება. ამან გააღიზიანა მუშები და უქმაყოფილებაც დაპატადა მათში. ცოტა კიდევ და ამ ნიადაგზე შეთქმულობამაც იჩინა თავი და ამა თუ იმ სახით უქმაყოფილებაც მალე უნდა გამოაშკარავებულიყო. მაგრამ რჩოხე გაიგო ეს აზრი სახლთუხუცესმა, მიიღო მრუდე ზომის გადასახლება და მას გადასახლება არ იყო.

1) უკანასკელი მთავრის—დავითის ღრმა შეიცვალა დებულება მუშის ხარჯის (საჭმელ-სასმელი) შესახებ. თუ წინედ მუშას ბატონი აძლევდა ხარჯს და თან უსათუოდ ღვინოც უნდა მიეცა, დავითმა საყოველთაოდ დააკანონა, რომ მუშა თავის საკუთარი ხარჯით უნდა მისულიყო სასახლეში. თუ უმაღლოდა დავითს მაღალი წიდება, მხოლოდ ამ მუხლის შეტანისთვის დებულებაში.



გერმანულების ჰაეროპლანები საზღვრებისაკენ ავტომობილებით გადაჭვით.

მები და სათავეშივე ჩააქრო ცეცხლი. მართალია, მუშებმა ენა ჩაიგდეს, მაგრამ რაც დრო გადიოდა უსამართლოების ჭუჭყი მათს გულს თან და თან უფრო სქლად ედებოდა, გუბდებოდა მათს გულში შეამნალველის ტბა და ის—ის იყო აპირებდა გადმოხეთქის! მაგრამ სად იყო კაცი, რომ აქა-იქ გზა გაეხსნა მომწამლველ ტბისთვის, რომ ნიალვარად მოსდებოდა მთელს მხარეს! არ ჰყავდა მუშებს მეთაური და სრული დუშილიც გამეფებულიყო მათ შორის... ვინ იცის, იქნება ეს უანგი მუშებისავე გულში ჩალესილიყო, აყროლებული ტბაც იქვე ჩამშრალიყო, რომ დროზე არ მიშველებოდა ის, ვისიც გული იწვოდა და იტანჯებოდა ხალხის წევითა და ტანჯეით!

## VI

გაისმა ხმა, რომ სალხინოს სასახლეში მუშებს უქმაყოფილება გამოუტაცებიათ სახლთუხუცესისთვის და დავითი გიდელიამ ყურები სცეკვიტა: ერთხანს ალტაცების ბურუშში გაეხვია, რა გამოერკვა მარტომბას მიეცა... ცოტა კიდევ და სახე გაუცისკრიფინდა:

— „ლემერთო! თუ ოდესმე აპირებ შენი უბედური ხალხის ხსნას, დღეს გაუთენე ი დღეო“, — წამოიძახა მხურვალე გულით და გასწია სალხინოში.

სალხინოში დავითს ბერი ახალი ცნობა მიჰქონდა, რაც სახო-გადოდ ხალხისთვის საიდუმლოებას შეიდენდა და მხოლოდ დიდი რაოდებში იყო დაცული, მაგრამ დავითმა კი იცოდა, იცოდა ტაია ბატონიშვილის ოჯახიდან. ეს ოჯახი, როგორც გამხრდელი გრიგოლისა, სასტიკად მტრობდა დედოფალს, რადგანაც ის გრიგოლს ჩრდილავდა... აქ გაისმოდა სასტიკი საყველურები დედოფლის მიმართ და ხშირად გამოითქმოდა ხოლმე სურვილიც მისი ტახტის და-სამხობად... ამ ოჯახში დავითი სტუმარი არ იყო. მას იქ აფასებდნენ კიდეც, როგორც იშვიათი სიმამაცის, ჭუა-გონების, გამჭრია-ხობის და თვალ-ტანადობის ვაჟკაცს და არც არავინ უმალავდა გულის საიდუმლოს. ტაიას ოჯახშივე გაიგო დავითმა თუ ვინ მტრობდა, ან ვინ უმადლოდა დედოფალს, თითონაც გამოჰყავდა დასკვნა, რომ დედოფალი, მხოლოდ და მხოლოდ ჩიქვოვანების ზურგზე გამაგრებული, საიმედო შტოზე არ იჯდა და, ამის შემდეგ, საბუთიც ჰქონდა, თვით სამთავრო ტახტედაც გადაწყვეტილი აზრი შეედგინა... იგი დღე-დღეზე მოელოდა ჩალასაც, მაგრამ ბეჯითად არ იცოდა კი—რას. წინაგრძნობა ეუბნებოდა, თვალსაჩინო რამ უნდა მოხდეს, მაგრამ რა, ან როდის, ეს საიდუმლო იყო მისთვის... და, რომ სალხინოს ამბავი გაიგო, ციური სიამე იგრძნოდა და მოსაზრებას ძალა დაატანა, რომ სამოქმედოდ უცდლომელი გზა აერჩია...

კარგა დაღამებული იყო, როცა დავითი სალხინოში ჩავიდა და ერთს ნაცნობს—მართალია თოდუს! ) ესტუმრა.

ხასათით დინჯი და პატიოსანი მართალია იყო მთავრის ყმა და მეზობლობაში გონიერი კაცის სახელი ჰქონდა დამსახურებული. მას იცნობდნენ აგრძელებული მოქალაქე მოქალაქე, თავისი ხელობით: ის იყო ხის ჭურჭლეულობის ხელოსანი და ყოველგან დიდი ქება ჰქონდა მის გაერთებულ ჯამს, გობს და სხ. ის მართლაც, რომ მართალი იყო და ამისთვის აფასებდნენ, უყვარდა და უცდლებნენ.

მართალიას ძალიან გაუხარდა დავითის ტუმრობა; მხიარულად შეეგება, მამა-შვილურად ბრივითხა და შეინატია სახლში.

— იცი ქალო ეს ვინაა?.. კაი ვახშამი გამოგვიწყვე, სირცევილი არ მაჭამო,— მოლიმარი სახით უთხრა მართალიამ ცოლს და გა-აცნო სტუმარი.

— ვიცი-ვიცი; სულ მის ამბავში ხარ და არ ვიცი?.. მაგის დე-და უნდა ცხონდეს—მაგისი, რომ ამისთანა შეიღილ გაუზღდია!.. მაგას რა უჭირს, დალოცვილს! ჩვენ ვიკითხოთ—ჩვენ, რომ სულს გვხდის

) სახელი და გვარი ნამდვილია. მართალიას, ზოგი უტუსაც ეძახის.


წყეული ჩიქვანი ), თორებ თავისუფალია და თავისუფალი! თუ ვარ სახუცეცია, ერთი მიბანდეს და მაგას უთხრას: — „გამოდი და იმუ-შავეო“.

— ჰო, კაი ახლა— კაი, — გაწყვეტინა სიტყვა მართალიამ ცოლს, — ხო იცი ქალის ნამეტანი ლაპარაკი უცხო კაცთან სირცევი-ლია... ვახშამს დაუქჩარე—ვახშამს და ლაპარაკს მერეც მოესწრობი!

— მაგას ნუ რამ, მართალია, თუ ჩემი პატივისცემა ეა?: სიტყვას ნუ გაწყვეტინებ ოჯახის დედა-ქალს... ახლა სხვა დრო დაგვიდგა—სხვა: ახლა ქალი და კაცი, დიდი და პატარა გაუქრობელ ცეცხლს უნდა ინთებდეს გულში, მოთმინებიდან უნდა გამოდიოდეს, რომ რაც დრო გადის, იმდენად უფრო და უფრო გვიჭერენ, მუხ-რუშს. სიჩუმე და მოთმინება დღეს ცოდვაა-ცოდვა, გაუქრობელი ცოდვაა! ჯერ ქალებასაც გული უკვება დღევანდელი დღით, იმა-თაც დაუკარგავთ მოთმინება, რა უნდა ქნას კაცმა?! ვისაც ჭუდი ხურავს, ვისაც ულვაშები ასხია და—მამაკაცი ვარო—იტყვის, იმან დღეს, დღეს უნდა უჩვენოს ქვეყანას, რომ მამაკაცია, ჭუდი ჰერიავს და ულვაშები ასხია!.. სხვა არა იყოს რა, ჯავრმა, მარტო ჯავრმა, სევდამ უნდა გაგვიხეთქოს გული!.. იღმძერელი კილოთ უთხრა მარ-თალიას დავითმა და მაღლობის თვალით გადაჭედა დიასახლის, თითქო ეუბნებაო: — „განაგრძე დედაკაცო, განაგრძე; მე ვიცი შენი სქესის სიტყვის და მოხერხების ძლიერება; ვიცი, რომ როცა უალია ივერქებს“. — ქალებს—გაჩუმებას იმისთვის ურჩევ, რომ ენის მეტი არაფე-ლი ეხარჯებათ და ცარიელი ენით კი ქვეყანას გადაგიჭედავნ, — ლი-მილით შენიშვნა მართალიამ და მხიარული თვალებით გადაჭედა ცოლს.

— სრულიადაც არა! ჯოჯოხეთშიაც ჩავკირულიყო თუ პირ-ველად მე არ გავიწირო თავი, რომ კაცები რამეს გააპირებდეთ, მაგრამ თქვენ დასაქლავი ძროხებივით ჩამოგიგდიათ თავი და ქალს მარტო რა შაუქლიანი?.. როგორ გადურბინო თავზე ქმარ-შვილს, თორებ რაც ქალი ვარ ისე დავიჩემებ ერთ რამეს!.. ამოგვხადა სუ-ლი, მაგრამ როგორ ამოგვხადა ი ურჯულომ! ჩვენთვის ხარი არა და ძროხა, თხა და ცხვარი, ქათამი და კვერცხი! კვერცხი რაა—კვერცხი? ისიც იმ დასაქლებში მიაქვთ; ვითომ ჩვენ ჭამა არ გვი-დოდეს, სული არ გვედგას!.. გუშინ წინ ფორჩა ?) ამოვჭმოვე; ორ-სამი ჰერანგი გამოვიდოდა და რაცხა-რაცხები კიდო. ვიცხო ჩემი ცოდვით სახესმ მიურბენინა ამბავი ჩიქვანს, გუშინ კაცი მომაყნა: „ფორჩა რო ჰქონია, გამომიგზავნოს“. — რამდონი ვიფიცე, რამდო-ნი ვიღმერთო. მაგრამ საშველი მის ოჯახს არ დააღადგა! გვერლით შევარდა სახლში ცოლ-შვილი გაწყვეტილი კინტირია, მონახა ფორ-ჩა, ამოილლავა და გაუდეგა გზას. გულდაწყვეტილმა რაცხა მივაძე-ხე, მომიბრუნდა და დამიწურ მუქარა: — „ენა ჩაიგდე თვარა უკლევ-ში ჩაგრძნებინებ და თათარს მიგიდიო, მარილში გაგცვლიო—მა-რილშიო...“

— გეყოფა მეთქი, ქალო! უცხო კაცის მაინც არ გერიდება?— ისევ გაწყვეტინა სიტყვა ქმარმა.



გერმანულების გარაუები (ჰაეროპლანების სადგომები)

რუსთავის საზღვრებზე.

) ჩიქვანს ეძახდნენ სახლთუხუცეს დავითი ჩიქვანს; შასუ-ებაზნენ სახუცეცს.

) აღგილობრივი ნაქსოვი ტილო.

— მართალს ამბობს — მართალს და ახლა კი მჯერა, რომ მალე გაცივდება სამთავრო ტახტი! — სიხარულით წამოიძახა დავითმა.

— როგორ? განა ჩემი დედაკაცის ანხლობა გააცივდეს სამთავრო ტახტი? — სიცილით ჰქითხა მართალიამ.

— ჰეშამარიტად! მამალი რო იყივლებს, გათენებაც მოწეულია. აბა, როდის გინახავს ქალები ასე თავგანწირული! დღემდის ქალები თუ უკან ეწეოდნენ მამაკაცებს და სულ სიფრთხილეს ჩაძინდნენ ყურში, დღეს იმას გაიძახიან, რომ ამას იქთ ჩვენი სიცოცხლე არაფრად ლირსო, უმჯობესია ერთ დღეს დავიხოცოთ... ამას მარტო შენი ცოლი როდი ამბობს! ყველა ასე გვიძახის — ყველა... და ეს კას მახარობელია. დედაკაცის ჩვილი გული რო დაიკვენესებს, მამაკაცის გულსაც შეიძულებს და შეერთებულ-შედუღებულ გულს წინ ვერა-ფერი დაუდგება... აპა, მხარიც დამემოწმა... !)

— კარგზე-კარგზე, სიკეთეზე, — მიაძახა დიასახლისმა.

— ღმერთი ჩენისკენა, თუ ჩვენ მაიც გავინდერით, — განაგრძო დავითმა. — ღმერთი აგონებს ხალხს როგორ უნდა დაიშყოს საქმე და შერე ხალხმა თითონ უნდა მონახოს გასავალი გზა. ღვთის ნებით რო არ იყოს, როდის იყო, რომ ხალხი თავარს ურჩობას უბედავდა?! ჯერ უბრალო აზნაურსაც ვერ გაუბედავს თავის ყმა ურჩობას, თორებ მთავარს! მთავარს ვინ გაუბედავს, უღოოთ, რამეს!.. თუ მივხვდებით, ეს ისაა, რომ ღმერთმა გვაგონა საქმის დაწყება სწორედ იქიდან, საიდანაც უნდა დაწყებულიყო... ახლა ჩვენც უნდა მივყვეთ ღვთის ნებას და ისიც ყველგან ხელს მოგვიმართავს...

— ღმერთს რათ უნდა ჩვენი მოხმარება, თუ ჩვენთვის რამე სიკეთე უნდა, დაილოცა მისი სამართალი! — ისევ ღმილით, მაგრამ რწმენით, უპასუხა მართალიამ.

— მეტად კაი ხასიათის კაცი ხარ, მართალია, მეტად კაის. რაც გინდა გიყირდეს აღელვებულს შენ კაცი ვერ გნახავს; ეს საუკეთესო ლირსებაა ადამიანისთვის, მაგრამ დღეს ის დღე არაა, რომ ყოლითვეს გულურიად უყუროთ! დღეს სხვა დღეა და სხვანაირათაც უნდა მოვიქცეთ. დათვი რო დაიჭრება, სასტიკად გაჯავრდება: ჩვენც უნდა გაჯავრდეთ, რადგანაც ჩვენი ჭრილობაც უთვალია და იმას რო ამბობ ღმერთი ისედაც მოგვცემს, ამაზე აი რა გითხრა: კაცი წყალში ირჩობოდა თურმე და ღმერთს ევედრებოდა: — „ღმერთო გადამარჩინეთ“. ღმერთმა დაუხახა: — „ხელი გაანძრიე და გადაგარჩინეთ“. — ღმერთი პირში კი არ ჩაუდებს კაცს ლუქმას, არც ზეციდან ჩამოუგდებს! ღმერთმა აგონა კაცს, როგორ უნდა სარჩოს მოპოვება და კაცმა მთელ წელიწადს უნდა იშროებს, იჯახიროს, ოფლი ღვაროს და, ღვთის შეწევნით, წლის სარჩოსაც მოპოვებს... ყველაფერი ასეა, გაურჯელ კაცს ღმერთი არაფერს აძლევს!..

— კა მარა...

— არა, დამაცალე. რა იყო რო გითხარი: — დათვი დაიჭრება, გაჯავრდება მეთქი და მართლაც გაჯავრდება: ვაი მას, ვინც მაშინ შეხვდება! და ჩვენ რა ვართ? და ჩვენისთანა დაპრილი, დამცირებული, შერცხვენილი კიდე იქნება ვინმე? უნდა მოვიგონოთ, რომ ჩვენს მამებს, ბატონების მონობაში, ამოხდია სული და დიდედებს, ბაბუას და მის იქითურს; ჩვენც მათი ულელი გვადგია: ცოლიან-შეი-ლიან და, მამიან-დედიანად, სარჩო-საბადებელიანად და სულიან-ხორ-ციანად იმათ ვეკუთვნით. ჩვენთვის ჭამა არაა, სმა არაა, ტანი არა და ფეხი; უნდა გაგვყიდის, უნდა ამოგვწყვეტს, უნდა ცოლს წაგვართმებს, უნდა შეილს... ასე არაა?

— ასეა-ასე; ამას ლაპარაკი რად უნდა!

— ჴო და უნდა მოვიგონოთ ვის რა დაგვმართია იმათვან, გაჯავრდეთ და შეენძრეთ; მეტი არაფერი უნდა; მაშინ ღმერთიც ხელს მოვემიართავს და კისრის ტეხით ჩამოცივდება. ჩვენი კისრიდნ ბატონები.

— როგორ უნდა შეენძრეთ, რა უნდა გავაკეთოთ? — შეეკითხა დავითს დაფიქრებული მართალია, რომელსაც დავითის სიტყვა, პირელად, უბრალო ხემრობა ეგონა.

— ჯერ ეს მითხარი, როგორ მიდის თქვენი საქმე სახუცეცთან? თუ კაცი ხარ არაფერი დამიღალო.

— ჩვენი საქმე რა დასამალავია! შენც გეცოდინება რაზე მოგვიდა ცილობა... ნამეტანი გულგატეხილად დავრჩით... მაგრამ ხოიც ჩვენი კაცის ამბავი, რომ ბოლოს ვერაფერს მიატანს! ვიყაყანები, ვიყაყნები და ბოლოს, სახუცეცმა მაინც თავისი გაიტანა.

— როგორ!... დაწყარდით კიდეც?

<sup>1)</sup> ღდიშის მდაბიო ხალხში ახლაც სწამთ, რომ საეჭვო — რამ მოსალოდნელი გარემოებაზე მსჯელობის დროს მათ ყურს უგდებს რომელილაც ანგელოზი და თუ მსჯელობა მოუწონა, მაშინვე წარბზე მათვარინდება და აუქავებს. ამაზე იტყვიან: „მხარი დამემოწმიონ“, შაშინ სხვა შესძახებს: „კარგზე-კარგზე, სიკეთეზეო“.

— არა, მთლად არა, მაგრამ მაინც იმას არ მოგავა! ხეალ-ზეგ თითო-ორმოლა მივა სახუცეცთან, ერთი-მეორეს დაბეჭლებს, მეორე მესამეს, ის კიდევ სხვას და სახუცეცსაც ეს უნდა: აარჩევს ორ-სამს და დედას აუტირებს! სხვას ისევ გაირევავს სამუშაოზე.

— ოჳ, ღმერთო ჩემი! ნეტავი არ გეთქვა. მოგეკალი და ეს არ გეთქვა.

— ასეა-ასე; რა ვენათ! თავი ჩვენ არა გვყავს და წინამძღვარი... დამონებული ხალხი გამეს გაბედავს!

— მიკვირს; შენგან მიკვირს! სხვას რომ ეთქვა, თავი და წინამძღვარი არ გვყავს, კიდევ არ გამიკვირდებოდა, მაგრამ შენგან! საკვირველია და მეტიც, ჩემი მამის მზგავს მართალია.

— მე რა! მე რა უნდა მექნა?

— შენ რა უნდა გექნა?! აბა, სხვას ვის რა უნდა ექნა?!... შენ უნდა გეთავა, შენ უნდა მივეღოდ წინამძღვრობა.

— მე ამაზე სულაც არ მიფიქრია. ვერც გამოვდგები მაგის-თვის.

— შენზე უკეთეს ხალხი ვერავის მონახავს; შენ გიცნობს ხალხი, გაფასებს, გიჯერებს, გენდობა.

— ხალხის წინამძღვრობას დიდი თავი უნდა; გაბედულობაც დიდი უნდა.

— ესენი ზეციდან არავის არ ჩამოცივნია... ვისაც ჰკუა-გონება აქვს, ყველაფერი აქვს; პირველი იარაონ ესაა. ამ იარაონთ მხეცსაც კი დაიმორჩილებს კაცი; თავ კაცობასაც უცბად შეისწავლის და გაბედულობასაც ისე აღზრდის მის გულში, რომ ერთს ათისაც არ შეეზინდეს... და ჰკუა-გონება შენ დიდი გაქ.

— კმ!

— არ დაიჯერო შენ ახლა, არ დაიჯერო; არა კაცის არ დაიჯერო, — წენიშნა მართალის ცოლმა, — თავადის ტოლა კაცი მეუბნება და იმისი კიდე არ დაიჯერო!.. თათართონ ის ყოფილა და ქრისტიანთან, თავადებს ხელის გულზე უზის და თეთი დედოფალიც უმაღლების; თავადებს რა მოუხდება იმან იცის და ყველაფერი; პირველად იმან გადიგდო ყმობა, ქვეყნის ჰკუა და განაჩენი იმას აქ და იმისი კიდე არ დაიჯერო!.. რა იქნება ერთი დაუჯერო და ქვეყნის მაღლში ჩადგე!

— სუ ქალო!.. იქნება შენ გინდა, რომ შენი ქმარი თავი კაცი იყოს, ხალხის წინამძღვარი იყოს, მაგრამ ამას რა უნდა იგი შენ არ იცი! — თავისის ბური ლიმილით შენიშნა ქმარმა ცოლს.

— იცინე, იცინე; თუ საცინელი დღე გაქ, ის შენ დაიქადე.

მართალია ჩაფიქრდა. ჩაფიქრდა დაგვითიც, მაგრამ უკანასკნელმა ისევ მაღლ აღძრა ენა და მოუყა მართალიას იმ ამბავს, რაც ხდებოდა მაშინ ღდიშის მაღლ წრებში. რა თქმა უნდა, აუწყა თუ რა თვალით უყურებდა სამთავრო ტახტს და თვით დედოფალასაც იმ ღრონის ღდიშის მართველი გრიგოლი, ვინ ჰკავდა მას მომხრებად და სხ. და სხ.

— როგორ! განა გრიგოლიც ღალატობს დედოფალას?! — გაოცებით წამოიძახა მართალიამ.

— პირველად ის, — მოკლედ უბასუხა დავითმა.

— კმ!.. კაი-კაი, — სთქვა ღინჯად მართალიამ და ხელმეორედ ჩაფიქრდა... შემდეგ ცალი ხელით შეისნა სარტყლიდან დიდი სათუთუნე ქისა, მეორეთი ამოიდრო სარტყლიდანვე ყალიონი, გაასლო თუთუნით, მოადვა ზედ ნაკვერჩხალი და ხარბად მოსწია, შემდეგ წამიდგა ღინჯად, გაალო კარი და გაეხვია ღალის წყვიდიადში, საიდანაც ის კარგა ხანს არ მობრუნებულა. დავითი საკუთარ ფიქრებს მიეცა და თან იმაზედაც ფიქრობდა თუ სად უნდა წასულიყო მართალია. კიდევ რავდენიმე ხანი და მართალიამაც შემოალო კარი და თან შემოჰკვა ხუთი კაცი, რომელთაც დაბალი სალამი მისცეს დავითს, რომლის პასუხად, დაგითსაგანაც მიიღეს მშური სალამი.

— ესენი ჩემი მეზობლებია, სანდო და სამედო პირები, — უთხრა მართალიამ დაგითის და მიუთითა ახალ მოსულებზე. გთხოვ ამათაც გააგებინო შენი აზრი და გარჯის მიზეზი, შემდეგ ერთად ვარჩიოთ და გადავწყვიტოთ რა გზას დავადგეთ.

დაგითმა სიხარულით მიიღო მართალიას წინადადება, დაიშყო ისევ თავიდან და აღმეტრები მსჯელობით აღტაცებაში მოიყვანა ახალ მოსულებიც... ყველამ თავი მოიდრიკა დავითის აზრის წინაშე დასაკვნეს, მიელოთ დაგითის უკანასკნელი რჩევა... ამის შემდეგ მხიარული სახით მოუსწონენ დიასახლისისაგან გაწყობილ ვახშამს.

(შემდეგი იქნება).

კირილე წუთისოფლელი.